საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №307
2019 წლის 8 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. **დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:**

ა) **ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:**

144	0755	სსიპ – ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი
145	0756	სსიპ – საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

ბ) **ბიუჯეტის განმკარგველის – 0972 – ა(ა)იპ „ათასწლეულის ფონდის“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:**

361	0973	სსიპ – „ახალგაზრდობის სააგენტო“

გ) **ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:**

547		4187	ააიპ – თბილისის პორტალი

2. **დანართ №3-ში:**

ა) 3553 – „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ველოსიპედის ბილიკზე ან ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე ველოსიპედის გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისებისა) მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის ან წინასწარი შეცნობით სატრანსპორტო საშუალების გზაზე გაჩერების ან დგომისათვის სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის ან ნიშნების), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრის ან „TEST“ ნომრის გარეშე“ – სახაზინო კოდის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდი:

„შემოსავალი ჯარიმებიდან ან/და საურავებიდან შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევისათვის“	3555

ბ) 7337 – „სსიპ „112“-ის მიერ „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მცველის მოწმობის გაცემის საფასური“ – სახაზინო კოდის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდი:

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის	7338

ისტორიის მუზეუმის მომსახურების საფასური

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**